№ 224 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მანეთი. კვირა 5 ოქტომბერი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—8

მე 6 ქვეითი ბათალიონის კომანდირი და ოფიცრები აუწყებენ თანამოსამსახურეებს და მეგობრებს ომში მიღებულ ჭრილობის შედეგით უფროს ლეიტენანტის

ალექსანდრე ბარსკის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, არსენალის გზატკეცილი, დღეს, დილის 9 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

1494. 1—1

ტფ. ცენტრალურ ტელეგრაფის კანტორაში

13 ოქტომბერს

სამხედრო ქუჩაზე, დანიშნულია აუქციონით გაყიდვა ვადა გასული ტელეგრაფის ქაღალდებისა. მყიდველთ ცნობები მიეცემათ კანტორის კანცელარიიდან. 1489 1—1

ყიდვა-გაყიდვა

სახლებისა და მაღაზიებისა

ქალაქის ყველა რაიონში, ღირებ. 25.000 მ. 6 მილიონამდე, მამულების, სავაჭრო საწარმოოსი, კონტორების, ავტომობილების, ეტლის, მოტოციკლეტის, ხალიჩების და სხვა მოწყობილობისა შეიძლება ინტელიგენტ პირთა ჯგუფის საშუალებით. დავითის ქ № 3, ბინა 2. ტელ. 3—28. 11—2 საათამდე და 5—7 საათამდე. 1481 2—1

ოფიციალური განყოფილება.

ბრძანება

საქართვ. რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

17 სექტემბერი, 1919 წ., № 200.

1. საქართველოს რესპუბლიკის ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად ვნიშნავ განსაკუთრებულ მინდობილობის შტაბ-ოფიცერს პოლკოვნიკ ართმელაძეს და მასვე უქვემდებარებ სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციას.

2. რათა მან, საჭიროებისამებრ, შესძლოს დაუბრკოლებლათ გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილებში მისვლა და აგრეთვე სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებთან და ორგანიზაციებთან საჭირო კავშირის დაჭერა, მიეცეს მას მოთხოვნილებისამებრ ავტომობილი.

3. რკინის გზაზე მიმოსვლის გასაადვილებლათ—უბრძანებ გენერალურ შტაბის უფროსს, რათა მან აღმოუჩინოს ამ მხრით პოლკოვნიკ ართმელაძეს ყოველ გვარი დახმარება.

4. პოლკოვნიკ ართმელაძეს, როგორც მთავარ ხელმძღვანელს ჯარში კულტურულ განმანათლებელი მუშაობისას, მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში, ნება ეძლევა მიმართოს პრესას, საზოგადოებებს და დაწესებულებებს სხვა და სხვა ხასიათის დახმარებისათვის.

5. უბრძანებ ნაწილების უფროსებს—განუმარტონ ოფიცრობას, თუ რანაირი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო და რანაირათ უნდა გატარდეს ეს თუ ის საჭირო ბრძანება, ანუ განკარგულება ცხოვრებაში.

6. უბრძანებ ათასეულების უფროსებს ეხლავე შეუდგნენ გუნდებში საგუნდო სკოლების მოწყობას, სადაც ყველამ, წერა-კითხვის უცოდინარმა, უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა და ანგარიში. მოიმარაგოს ჯარის-კაცთა უნივერსიტეტის საათასეულო სკოლისა და სამკითხველოს მოსაწყობათ ბინები და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ—ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ნაყოფიერათ წარმართვის საქმეებში—მთავარ-ხელმძღვანელს პოლკოვნიკ ართმელაძეს.

7. სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის შესაფერი ბინა დაეთმოს სამხედრო სამინისტროს შენობაში და მოწყობილ იქმნას იგი ტელეფონით და სხვა აუცილებელი ავეჯეულობით. დაინიშნოს სექციის კანცელარიაში ერთი შიკრიკი სადარაჯო ათასეულიდან.

სამხედრო მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორის სამმართველოსადმი.

29 სექტემბერი, 1919 წ., № 108.

ინიშნება: ახალქალაქის მაზრის კომისარი ლავრენტი მახარაძე ტფილისის საგუბერნიო №-1 სატუსაღოს უფროსად.

დათხოვნილია: ტფილისის საგუბერნიო № 1 სატუსაღო უფროსი გიორგი ყიფიანი თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან.

მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

ადმინისტრაციის ინსპექტორი

გეგელაშვილი.

№ 109.

შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი ა. წ. 29 სექტემბრის № 108 ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილი ტფილისის საგუბერნიო №-1 სატუსაღოს უფროსის გიორგი ყიფიანისაგან ხსენებულ სატუსაღოს საქმეების და ქონების მისაღებათ და მათი იმავე ბრძანებით ახლად დანიშნულ სატუსაღოს უფროსის ლავრენტი მახარაძისათვის გადასაცემათ დანიშნულ იქმნას კომისია სატუსაღოთა ინსპექტორის თანაშემწის იაშვილის, ადმინისტრაციის ინსპექტორთან მყოფ განსაკუთრებული მინდობილებათა მოხელე შენგელიას და სატუსაღოს ინსპექციის საქმის-მწარმოებლის ხონელიძის მონაწილეობით.

რესპუბლიკის სატუსაღო ნაწილის გამგე
ადმინისტრაციის ინსპექტორი

გეგელაშვილი.

—

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.

26 სექტემბერი, 1919 წ., № 62.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან თანახმად თხოვნისა, ტფილისის ქალთა II გიმნაზიის დირექტორი ვლ. ა. შენგელი.

გადაყვანილია: 1. ტფილისის ყოფილ მერვე ქალთა გიმნაზიის დირექტორი გ. ახვლედიანი ტფილისის ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორად.

2. ხონის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი მ. ჭავჭანიძე ტფილისის ქალთა მეხუთე (ყოფილი მერვე) გიმნაზიის დირექტორად.

დაინიშნოს: 3. ხონის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ბ. ბახტაძე.

სამივე ამა წლის 1 ოქტომბრიდან

1 ოქტომბერი, 1919 № 63.

დაშვებულია: ზესტაფონის ქალთა გიმნაზიის უფროს ქალის თანამდებობის აღმასრულებლად მარგარიტა გიგინეიშვილი ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგი

ნოე ცინცაძე.

—

ამბროლაურის მომრიგებელი უბნის გამგისა.

5 ენკენისთვე, 1919 წ.

ამბროლაურის მომრიგებელი უბნის თარჯიმანი პრაკოფი ბესარიონის ძე ერისთავი დანიშნული იქნეს იმავე მომრიგებელი უბნის მდივნათ პირველი ენკენისთვიდან ამა წლისა

ამბროლაურის მომრიგებელი უბნის გამგის
მაგიერი **ირ. ხურგულაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში

ახალი ფორმის პატენტის პროექტი.

ვაჭრობა-მრეწველობის უწყება აპირებს ახალი სახის ქართულ სამრეწველო მოწმობათა (პატენტების) გამოშვებას. უკვე შემუშავებულია და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ტეხნიკურ კომიტეტს წარედგინა განსახილველად ასეთი მოწმობის პროექტი.

პრივილეგიები მადნეულ ადგილების დასამუშავებლად.

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში შუამდგომლობა შეაქვთ მადნეულ ადგილების დასამუშავებლად ნებართვების (პრივილეგიების) მიცემის შესახებ. ვაჭრობა-მრეწველობის უწყება ახლო მომავალში შეიმუშავებს ახალ წესს ასეთი პრივილეგიების მისაცემათ. ტეხნიკურ კომიტეტს წარედგინა აგრეთვე ცნობები საქართველოში წინათ გაცემულ პრივილეგიების შესახებ და სია ამ პრივილეგიებისა.

სტატისტიკურ მასალების დამზადება.

ფინანსთა მინისტრის საბჭოს წარედგინა სტატისტიკური ცნობები და სხვა მასალები 5 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე აკრებილ გადასახადების შესახებ. სამინისტროს საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ეს მასალა და დაადგინა დაბეჭდოს იგი.

იტალიელ მრეწველების ჩამოსვლა.

ტფილისში ჩამოვიდა რამდენიმე იტალიელი მსხვილი მრეწველი, რომელთაც განზრახული აქვთ სხვა და სხვა სამრეწველო ქარხნის მოწყობა საქართველოში. მრეწველთა წარმომადგენლები ეთათბირნენ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პრეზიდიუმს.

შრომის სამინისტროში.

მოხსენება მუშათა მდგომარეობის შესახებ.

შრომის მინისტრის ამხანაგმა ერაძემ მთავრობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა რესპუბლიკაში მუშათა მდგომარეობის შესახებ.

ახალი ტარიფის დამტკიცება.

სატარიფო პალატამ 2 ოქტომბრას სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა რამდენიმე დარგის მუშათა ხელფასის ახალი ტარიფი.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ტყეების თვითნებური გაჩეხვა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხიდან ცნობები მოსდის თვითნებურად ტყეების გაჩეხვის შესახებ. ტყეების გაჩეხას მასიური ხასიათი არა აქვს, მაგრამ სისტემატიურად ხდება. შედარებით დასავლეთ საქართველოში უფრო აქვს ადგილი ასეთ თვითნებობას მცხოვრებლების მხრით, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ეჭვი არაა ტყეების თვითნებური გაჩეხა სახელმწიფოს მეურნეობას თვალსაჩინო ზარალს აყენებს. სატყეო განყოფილება თავის მხრით ღებულობს შესაფერ ზომებს და თანდათან ასეთი თვითნებობა შედარებით კლებულობს.

მცოდნე ძალების სიმცირე

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილება დიდ საჭიროებას განიცდის ამ ჟამად ტყის საქმის მცოდნე სპეციალისტების სიმცირის მხრით. ეს გასაჭირი იმით ძლიერდება რომ აუცილებელია სპეციალისტების მიერ ქართული ენის ცოდნა. სპეციალისტების სიმცირის გამო სატყეო განყოფილების მიერ შემუშავებული ზომები სატყეო მეურნეობის დასაცავად და გასაუმჯობესებლად შეფერხებულია. ამ მხრით მთელი იმედები დამყარებულია მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ გახსნილ სატყეო კურსებზე, რომელიც უკვე მოქმედებს. კურსებზე ჩაეწერა 60 ახალგაზდა, ამ ჟამად ლექციებს ისმენს 40 კაცი, რომელნიც მუყაითად ეკიდებიან საქმეს და ინტერესსაც იჩენენ

მოხსენებები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს ამ ჟამად გამზადებული აქვს მთავრობისთვის წარსადგენად რამდენიმე მოხსენება რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის აწევა გაუმჯობესების შესახებ.

ტყეს გამშენებელი პარტიები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ ბაღდადის (ქუთ. მაზ.) და რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ტყეებში დაგზავნილია ტყის გამშენებელი პარტიები მცოდნე-სპეციალისტების მეთაურობით, რომელთაც დავალებული აქვთ, გამოარკვიონ ტყეების ეხლანდელი მდგომარეობა, თუ რამდენი ტყის გაყიდვა შეიძლება გასაჩეხად და ცნობების შესახებათ სატყეო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ.

დამფუძნებელი კრება.

სხდომა 49.

პარასკევი, ოქტომბრის 3.

1919 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

მდივნობს დამფუძნებელ კრების მდივანი **კონ. ჯაფარიძე.**

გრ. ნათაძე. მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების და გასამრჯელოს მიცემის გამო დაწესებულ ერთდროულ გადასახადის გაუქმების დეკრეტისას.

კრება საბოლოო ტექსტს უცვლელად იღებს.

ივ. ჭავჭანიძე მოახსენებს კრებას საბაჟოებში ზედმეტ მუშაობისათვის გასამრჯელოს დაწესების კანონ-პროექტის შინაარსს და იმ მთავარ მიზეზებს, რომელთა გამოც წარმოდგენილია დამფუძნებელ კრების დასადასტურებლად ხსენებული კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

ამის შემდეგ სხდომა სწყდება 20 წუთით, რადგან დარბაზში არ ბრძანდება შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლის პასუხიც უნდა მოისმინოს დამფუძნებელმა კრებამ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვაზე.

20 წუთის შემდეგ სხდომა კვლავ ახლდება. სიტყვა ეძლევა შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. ნოე რამიშვილს.

ნ. რამიშვილი. მთავრობის სახელით აცხადებს, რომ მართალია საოლქო სასამართლომ ვერ აღმოაჩინა სათანადო ფაქტები იმის დასამტკიცებლად, რომ ბ. ჩარკვიანი, რომელსაც ბრალდება ბ. ონინის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება, მართლა დამნაშავეა, მაგრამ მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბ. ჩარკვიანი არის არა პირდაპირი მონაწილე ბ. ონიანის მკვლელობის. ამიტომ მთავრობამ შესაძლებლად ვერ სცნო მისი განთავისუფლება. მით უმეტეს, რომ ბატ. ჩარკვიანი ჯერ ისევ 905 ცნობილი რეციდივისტია.

ამასთან საქმეს აქვს არა მარტო სისხლის სამართლის მნიშვნელობა, არამედ მას აქვს აგრეთვე პოლიტიკური ხასიათი. მოკლულა კომისარი. ამასთან არავისთვის არ არის დასამალი, რომ მკვლელობა მომხდარია განსაკუთრებულ ჯგუფის ზეგავლენით. ეს ჯგუფი არც ისე შორს სდგას ეროვნულ დემ..პარ. რომ მას ვერ იცნობდეს ეს პარტია.

გ. გვაზავა (ერ. დემ.) აცხადებს, რომ მას არ აკმაყოფილებს მინისტრის პასუხი. ყოვლად შეუძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც საოლქო სასამართლომ ბ. ჩარკვიანი არ სცნო დანაშავეთ, კაცი მაინც ციხეში იჯდეს მარტო იმიტომ, რომ მინისტრი აცხადებს მთავრობის სახელით ჩარკვიანი არის არა პირდაპირი მონაწილე მკვლელობის. ეს არის თვითნებობა. ხოლო თვითნებობის უფლებას ჩვენ მინისტრს ვერ მივცემთ.

ალ. ახათიანი. აღნიშნავს რომ ამ საქმეში ყურადღებას იქცევს პირველი მომენტი, თუ როგორ იქნა დაპატიმრებული ბ. ჩარკვიანი. ორატორი აღნიშნავს, რომ იგი დააპატიმრა არა სათანადო უწყებამ. მაშინდელმა გუბერნატორმა და მინისტრმა მხოლოდ შემდეგ-ღა შეიტყვს, რომ ბ. ჩარკვიანი დააპატიმრეს გვარდიელებმა ტრამვაის პარკში და მათვე მოათავსეს ციხეში. შემდეგ დაიწყო ძიება ჩარკვიანის დანაშაულობის, მაგრამ საოლქო სასამართლომ იგი დამნაშავედ ვერ სცნო.

ორატორი მოითხოვს, რომ ბოლოს და ბოლოს მოეღოს ბოლო უფლებათა ღრევას.

შ. მესხიშვილი. აღნიშნავს, რომ ყოვლად შეუძლებელია კაცს აპატიმრებდნენ და შემდეგ ეძებდნენ მის დანაშაულს.

უფლებრივ სახელმწიფოში უნდა არსებობდეს გარკვეული ნორმები და გარკვეული კანონები. გამოძიებამ ვერ შესძლო ეს კაცი მიეცა სამართალში, მაშასადამე იგი უნდა განთავისუფლებული იქნეს უფლებრივ სახელმწიფოში უკანასკნელი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს სასამართლოს და არა მინისტრის თვითნებობას.

შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი.** მინისტრი აცხადებს რომ სამინისტრო ხშირად იყენებს სახალხო გვარდიის ძალას ადმინისტრატიულ ზომებისთვის. სახალხო გვარდიის მოწოდებით როგორც დეზერტირების წინააღმდეგ საბრძოლველად, ისე ყაჩაღების შესაპყრობად ამ შემთხვევაშიც ჩვენ ამ ზომას მივმართეთ

მე მოგახსენებთ, რომ ამ მკვლელობას აქვს პოლიტიკური ხასიათი. ამიტომ საქმე იმაში კი არ არის თუ როგორ მოხდა ეს მკვლელობა, არამედ საქმე იმაშია, თუ ვინ იყო მთელი სულის ჩამდგმელი ამ მოქმედების. ეს კი ძნელი სათქმელი არ არის. მთელი სულის ჩამდგმელი ამ მოქმედებისა იყო განსაკუთრებული ჯგუფი, რომელთანაც ბ. ჩარკვიანი ახლო იდგა. მას იცნობს მთელი ლეჩხუმის მაზრა და ხაწილი რაჭის მაზრისა და ორივე ეს მაზრა ჩარკვიანს სთვლის ერთ ერთ სულის ჩამდგმელად ამ საქმისა, ამიტომ მთავრობა იძულებული იყო ამ ზომებისთვის მიემართა.

(შემდეგი იქნება).

გენ. ჰარბორდის საპატივსაცემო ნადიმი.

3 ოქტომბერს, საღამოს 8 ს. ქართულ კლუბის დარბაზში შესდგა საქართველოს მთავრობის მიერ გენ. ჰარბორდის პატივსაცემად გამართული ნადიმი, რომელსაც დაესწრენ: გენ. ჰარბორდი 40-მდე კაცისაგან შემდგარ ამალით, პოლკ. ჰასკელი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი, (ბ. ნოე ჟორდანია ავათმყოფობის გამო ვერ დაესწრო), შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი, მიწათ-მოქ. მინისტრი ნოე ხომერიკი, ფინანსთა მინისტრი კ. კანდელაკი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გედევანიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის მოადგილე ნ. ქარცივაძე, განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე, რკინის გზის დეპარტამენტის დირექტორი ჭიჭინაძე, ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი, დავ. დავ. ლამბაშიძე, გენ. ოდიშელიძე, ქართველი გენერალიტეტი, ოფიცრობა, საზოგადო მოღვაწენი და სხვ. ნადიმს დაესწრო დაახლოვებით 200 კაცამდე.

დარბაზი საუცხოვოთ იყო მოწყობილი, მორთული დეკორაციები, გრეხილით და ვარდ ყვავილებით.

გენ. ჰარბორდს ფანფარების დაკვრით შეხვდნენ. სტუმრებს ილებდნენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ე. გეგეჭკორი და ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი.

გენ. ჰარბორდი იქვე გაეცნო განარჩენ დამსწრეთაც.

ევგ. გეგეჭკორის წინადადებით თამადათ არჩეულ იქნა დ. ლამბაშიძე. თამადამ პირველად ადღეგრძელა პრეზიდენტი ვილსონი და აღნიშნა მისი ღვაწლი ზავის ჩამოგდებაში და მცირე ერთა თავისუფლების დაცვაში. შემდეგ ადღეგრძელა ნ. ჟორდანია, როგორც რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ქართველი ხალხის ბელადი. ამას მოჰყვა გენ. ჰარბორდის სადღეგრძელო. თამადამ მას უსურვა პირნათლად შეესრულებიოს ის დიდი დავალება, რომლისთვისაც ის არის ჩამოსული. შემდეგ ახსენეს სადღეგრძელოები ამერიკის ჯარის, რომელმაც სასწაული ჩაიდინა ომის დროს, ქართული ჯარის, პოლკ. ჰასკელის, გენ. ჰარბორდის ამალის და სხ. ევ. გეგეჭკორის წინადადებით დაილია ამერიკის ერის სადღეგრძელო, რომელიც თავისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში აღიზარდა და რომელიც ამიტომ მფარველობას გაუწევს ქართველ ერს თავისუფლებისთვისბრძოლაში.

გენ. ჰარბორდმა სთქვა: ვადღეგრძელებ ქართველ ერს, რომელსაც აქვს 1.000 წლის ისტორია, რომელიც სცხოვრობს ასეთ მშვენიერ ქვეყანაში და ყავს ასეთი რაინდი მამაცი მამაკაცები და მშვენიერი ქალები.

11½ საათზე გენ. ჰორბორდმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ის დიდ ძალი საქმეები, რომელიც მას აკისრია, ნებას არ აძლევს კიდევ დარჩეს ნადიმზე და გამოემშვიდობა დამსწრეთ. ამალას კი ნება დართო დარჩენილიყო ნადიმზე. მას გაყვნენ პოლკ. ჰასკელი და მინისტრები.

დარბაზში უკრავდა გვარდიის დივიზიონის სამხედრო და აგრეთვე სიმებიანი ორკესტრი, ზურნა, საზანდარი. მეგრულ ტანისამოსში გამოწყობილი ძუკუ ლოლუას ხორომ მშვენივრათ შეასრულა რამდენიმე სიმღერა. გაიმართა ლეკური სცენაზე და გამოჩნდა კინტო, რომელმაც გენ. ჰორბორდს ვარდ-ყვავილებით მორთული ხილით სავსე თაბახით წარუდგა და იცეკვა „კინტოური“, რომლითაც გენ. ჰორბორდი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

გენ. ჰორბორდის წასვლის შემდეგ დარბაზში დარჩენილმა ამერიკელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მხიარულებაში და ცეკვაში. სხვათა შორის მათაც იცეკვეს ლეკური და კინტოური, რომლითაც ძალიან დაინტერესდენ. ნადიმი შუ ღამის 3 საათამდე გაგრძელდა. სტუმრები ძლიერ ნასიამოვნები დაიშალენ.

სათბობ მასალის ეკონომია და საქართველოს პერსპექტივები ამ საკითხში

(დასასრული)

IV

ზემო მოყვანილი მოსაზრებანი და მაგალითები, ვგონებთ, საკმარისად არკვევენ და ასაბუთებენ სათბობ მასალის ეკონომიის საკითხს. ეხლა ჩვენ გვინდა შევეხოთ საქართველოს არსებულს მდგომარეობას სათბობ მასალის ეკონომიის თვალსაზრისით და ვეცადოთ დავსახოთ ის საშუალებანი, რომელნიც, ჩვენის აზრით, შეამცირებენ საქართველოს ეკონომიურ ზარალს უცხო სათბობ მასალის ხარჯვისაგან.

საქართველო, როგორც უკანასკნელი თვეების პრაქტიკა გვიჩვენებს, ხარჯავს თვიურად დაახლოვებით 700.000 ფუთს აზერბეიჯანის მაზუთს, რომლის $^4/_5$-მდე რკინის გზების ქსელისათვის იწვება, ხოლო დანარჩენი—სამრეწველო დაწესებულებებისათვის, ელექტრონის განათებისათვის, ქალაქთა საჭიროებისათვის და სხვა.

რა ზომებიც არ უნდა მივიღოთ მაზუთის ეკონომიურ წვისათვის, მაინც არსებულ პირობებში 650,000 ფუთზედ ნაკლებ ამ ხარჯვის შემცირება ძლიერ საეჭვოა. მუდმივი წვა კი უცხო სათბობ მასალისა ისეთ წარმოებებისათვის, რომელნიც არაფერ პროდუქტს არ იძლევიან საზღვარ გარეთიდან შემოზიდულის ასანაზღაურებლად—პირდაპირი ზარალია საქართველოსათვის. ყურადღება რომ კიდეც არ მივაქციოთ პოლიტიკურს, სტრატეგიულს და სხვა ამ გვარს მოსაზრებებს—ყოველთვიურად 12 მილიონ მანეთის საზღვარ გარეთ გადენა სათბობ მასალის შესაძენად აუტანელ სიმძიმეს წარმოადგენს ჩვენთვის. გარდა ამისა, თუ სათანადოთ არ ანაზღაურდა ეს შემოზიდვა, თვით შესაძლებლობაც მისი გაქრება, ვინაიდან მუდამ მაზუთის სამაგიეროთ ქაღალდის ფულის მიღება, თავის თავად ცხადია, აზერბეიჯანის მრეწველობისათვის შეუძლებელია. ამ რიგად ჩვენ აზერბეიჯანს უნდა მუდმივ გადავცეთ მაზუთის სამაგიეროდ ან მისთვის საჭირო საქონელი ან საზღვარგარეთის ვალიუტა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მაზუთის გარდა, ბაქოდან საქართველოს მოსდის მრავალი სხვა ნავთის პროდუქტები:, გასანათი ნავთი, ჩხატე ნავთი, ბენზინი, წასასობი ზეთი და სხვა და ამაებისათვისაც სათანადო ანაზღაურება საჭირო.

თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს მრეწველობის განუვითარებლობას, ყოველგვარ პირველმოთხოვნილების საგნების ნაკლულევანებას და საჭიროებას მათი საზღვარგარედან შემოზიდვისას, ადვილად დარწმუნდებით, რომ ასეთ მდგომარეობაში სავალიუტო საქონლის ან ვალიუტის სათბობ მასალაზედ დახარჯვა ძლიერ საზარალოა საქართველოსათვის.

ასეთია არსებული მდგომარეობა საქართველოსი სათბობ მასალის მომარაგების მხრივ.

აქვს თუ არა საქართველოს საშუალება შეასუსტოს და თან და თან მოსპოს ეს თავის დამოკიდებულება ბაქოს ნავთისაგან?

ამის საშუალება საქართველოს მოეპოება და თუ გარეში პირობები და შინაური მუშაობა ამას ხელს შეუწყობენ, წლის ათეულის განმავლობაში საქართველო უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ენერგიით და დამოუკიდებელი ბაქოს ნავთისაგან.

ჩვენ არ შევუდგებით აქ საქართველოს ჰიდრავლიურ სიმდიდრის აღრიცხვას და აღწერას. ეს მრავალჯერ წაუკითხავს ქართველ საზოგადოებას და ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენ ძლიერ მდიდარი ვართ „თეთრი ნახშირის“ წყაროებით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ პატარა სამშობლოში იმყოფება მინიმალურად 1.500.000 ცხ. ძ. შედარებით იაფად გამოსაყენებელი წყლის ძალა, მაშინ, როდესაც მთელ საფრანგეთში მინიმალური გამოსაყენები სიმძლავრე მდინარეებისა უდრის 4.600 000 ცხ. ძალას. მაგრამ არც ისე ადვილია ამ სიმდიდრის გამოყენება. ნორმალურ პირობებშიდაც დიდი წინასწარი მუშაობა, ბევრი მოხერხებული ნაბიჯები იყო საჭირო ასეთ საქმის განსახორციელებლად. ეხლა კი, როდესაც საერთაშორისო ომმა გაართულა ევროპის და ამერიკის მრეწველობის მდგომარეობა, კიდევ უფრო ძნელია ისეთ საქმის დაწყება, რომელიც დიდ კაპიტალის დაბინავებას მოითხოვს. ამიტომ, პირველად ყოვლისა, ჩვენ თავი უნდა დავანებოთ ოცნებობას და პროჟექტიორობას და მხოლოდ ისეთი ნაბიჯები უნდა ავარჩიოთ, რომლის გადადგმა აუცილებელია და შესაძლებელი.

მაზუთის ხარჯვა უნდა შემცირდეს და მისი ადგილი შეძლებისამებრ უნდა დაიკავოს შინაურმა სათბობ მასალამ. ტყიბულის ქვა ნახშირს ძლიერ გაუტეხა სახელი მისმა უწესო მოხმარებამ 1918 წელში და მეტად გავრცელებულია აზრი თითქო ტყიბულის ქვანახშირი სრულიად არ ვარგოდეს ორთქლმავლებისათვის. ეს დიდი შეცდომაა.

ტყიბულის ქვანახშირის გამოყენება რკინის გზებზედ სრულებით შესაძლებელია და არაფერს ავნებს არც მატარებლების მოძრაობას არც ორთქლმავლებს, მხოლოდ გამოყენება უნდა ხდებოდეს იმ საზღვრებში, რა საზღვრებშიდაც შეუძლია ტყიბულის მაღაროებს დააკმაყოფილოს რკინის გზის საჭიროება. 1918 წელში, როდესაც სხვა სათბობი მასალა არა გვქონდა, ტყიბულის ქვანახშირს ვხმარობდით მთელს ქსელზედ და ვაიძულებდით მაღაროებს უთუოდ გამოეგზავნათ საჭირო რაოდენობა ქვა-ნახშირისა. მოთხოვნილება აღიოდა 40 ათასი ფუთამდე დღეში და ვინაიდან არსებული მოწყობილობა მაღაროების საშუალებას არ იძლეოდა დამზადებულიყო ამდენი კარგი ხარისხის, დაწმენდილი (გაცხრილული) ქვა ნახშირი, იგზავნებოდა შემთხვევითი ხასიათის სათბობი მასალა, რომელიც, რასაკვირველია, რკინის გზის ორთქლმავლებისათვის გამოუდეგარიც და მავნებელიც იყო. ტყიბულის მაღაროებს შეუძლია დაამზადოს თვეში მაქსიმალურად 350 ათასი ფუთი გაცხრილული და კარგი ხარისხის ქვა-ნახშირი. აქედგან მსხვილი და კაკალი ნახშირი შეადგენს 240 ათას ფუთს, დანარჩენი ფხვნილი ნახშირია, რომელიც საუკეთესოდ შეიძლება იქნეს მოხმარებული უძრავ ქვაბებისათვის, ხოლო ორთქლმავლებისათვის არ ვარგა. თუ ამ საზღვრებში იქნა ხარჯვა ქვა-ნახშირისა რკინის გზებზედ, მაშინ არავითარი შიში არ უნდა გვექნეს, რომ ის დააბრკოლებს მოძრაობას.

ყველაზედ უფრო ადვილია და გონიერი აღნიშნული რაოდენობა ქვა-ნახშირისა მოხმარებული იქნეს სამტრედიის წევის რაიონისათვის (ზესტაფონიდან მოკიდებული დასავლეთისაკენ). აქ თვიურად იხარჯება მატარებლების წევისათვის დაახლოვებით 100.000 ფუთი მაზუთი. მაშასადამე 200—220 ათასი ფუთი მსხვილი და კაკალი ქვა-ნახშირი სრულიად დააკმაყოფილებს ამ რაიონს.

რაც შეეხება ფხვნილ ნახშირს, ის რკინის გზაზედ უთუოდ უნდა იყოს მოხმარებული ყველა უძრავ ქვაბებზე, სახელოსნოებში, წყალსადენის სადგურებზედ, დეპოებში და სხვა. აგრეთვე უთუოდ ქვა ნახშირზედ უნდა იქნეს გადაყვანილი რკინის გზის ყველა სამჭედლოები, ვინაიდან ტყიბულის სამჭედლო ნახშირი სრულებით თავისუფლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამისათვის.

ტყიბულის ქვა-ნახშირის ასეთი გამოყენებით შესამჩნევად შემცირდება ბაქოს მაზუთის ხარჯვა, ე. ი. მიღწეული იქნება ნაწილობრივად ზემოხსენებული მიზანი სათბობ მასალის ეკონომიისა. რასაკვირველია, ასეთი გამოყენება ტყიბულის ქვანახშირისა ერთი ან ორი კვირის საქმე არ არის, ვინაიდან საჭიროა წინასწარი ტეხნიკური მუშაობა ორთქლმავლების მოსამზადებლად, ქვანახშირის სატვირთავ მოწყობილობათა აგება, ქვანახშირზედ მომუშავე ბრიგადების დასაინტერესებლად ღონისძიებათა შემუშავება და სხვა. მაგრამ, როდესაც ეს სუყველაფერი ასრულებული იქნება, საქართველო სრულებით უმტკივნეულოდ განთავისუფლდება ნაწილობრივად ბაქოს ნავთისაგან; ამასთანავე მტკიცე ნიადაგზედ დადგება ტყიბულის ქვანახშირის წარმოება, რომელსაც მუდმივი გასავალი მიეცემა. მნიშვნელობა ყოველივე ამისა ზემოდ არის განმარტებული და ჩვენ განმეორებას არ შევუდგებით.

ასეთია პირველი ნაბიჯი, რომელიც ჩვენის აზრით უნდა გადადგას საქართველომ სათბობ მასალის ეკონომიის საკითხში.

V

ზემო აღნიშნული საკმარისი არ არის, ვინაიდან ტეხნიკური მიზეზები აიძულებენ საქართველოს სახაზინო რკინის გზებს ეხლავე გადადგან მეორე ნაბიჯიც ამ საკითხში. საუღელტეხილო ნაწილი ამ რკინის გზისა, ხაშურიდან ზესტაფონამდე, თავის ტეხნიკურ ხასიათით იწვევს განსაკუთრებულ ტიპის ორთქლმავლების მუშაობას. ესენი თანდათან ძველდნენ და მათი რემონტი დღითიდღე უფრო ძნელი ხდება. ოთხი ხუთი წლის შემდეგ, თუ სათანადო ზომები არ იქნა მიღებული, აუცილებელი გახდება მოძრაობის ნაწილობ-

რივი შემცირება ორთქლმავალების ნაკლებლობის გამო.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ზემოხსენებულ გარემოებებს და მოსაზრებებს, თავისთავად ცხადი ხდება, რომ ერთად ერთი საშუალება ამის გამოსასწორებლად არის რკინის გზის საუღელტეხილო ნაწილის ელექტროფიკაცია. ეს საქმე არ უნდა დაუკავშირდეს რკინის გზების საერთო ელექტროფიკაციის საქმეს, ვინაიდან ეს უკანასკნელი შეიძლება გადადებულიც იქნეს მერმისათვის, ხოლო პირველი ყოვლად გადაუდებელია.

ომამდი შედგენილი იყო წინასწარი პროექტი აღნიშნული ნაწილის ელექტროფიკაციისა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზით, რომლის განხილვას აქ ვერ შევუდგებით, ის დამაკმაყოფილებელი არ არის. საჭიროა ამ საქმის ხელახლავ გადასინჯვა ევროპიულ სპეციალისტების მიერ და ცხოვრებაში გატარება ოთხი ხუთი წლის განმავლობაში.

რა საშუალებით და როგორ უნდა გატარდეს ეს საქმე, რასაკვირველია გაზეთის ნაწერში ამის განმარტება ზედ მეტია. შეგვიძლია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ცენტრალურ სადგურის აგება ხაზინის ხარჯზედ, ჩვენის აზრით, არსებულ პირობებში, მოუხერხებელია. იმის აგება, რათა საქმე არ დაჰვიანდეს, უნდა გადაეცეს ევროპიელთა კერძო ჯგუფს ფრიად უზრუნველყოფილ კონცესიის სახით. რაც შეეხება რკინის გზის ელექტრიულ მოწყობილობას, ეს ხაზინის საქმეა და ხაზინამ უნდა შესძლოს მისი განხორციელება, რაც უნდა დაუჯდეს.

ამრიგად ტეხნიკურ აუცილებლობის ზეგავლენით გადადგმულ უნდა იქნეს მეორე ნაბიჯიც სათბობ მასალის ეკონომიაში—უნდა მოხდეს სახაზინო რკინის გზების საუღელტეხილო ნაწილის ელექტროფიკაცია. ამ ნაბიჯის განხორციელების შემდეგ უცხო სათბობ მასალის ხარჯვა რკინის გზებზედ ეხლანდელთან შედარებით განახევრდება.

შემდეგი ეტაპი იქნება რკინის გზების ქსელის სრული ელექტროფიკაცია, რაც თავის თავად ცხადია, ჩვენ პირობებში მოასწავებს მთელი მრეწველობის „თეთრს ნახშირზედ“ გადასვლას. ეს, რასაკვირველია, მომავალის საქმეა.

ასეთია, ჩვენის აზრით, გზა სათბობ მასალის ეკონომიის განხორციელებისა საქართველოში და ჩვენ გვწამს, რომ ეს განხორციელება ჩვენ პატარა ქვეყანაში და ჩვენ პირობებში ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ინჟენერი ბ. ჭი—ნაძე.

ერობა.

ქუთაისის სამაზრო ერობაში.

სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულ ცნობების და განცხადების თანახმად დიდი უწესრიგობა არსებობს მეწისქვილეების მიერ მინდის აღებაზე. იყო მაგალითი ვანის თემში, რომ სათემო გამგეობამ დააწესა ნიხრი ერთი მეოცედი ფუთზე (ორი გირვანქა). ამის დამრღვევთ აჯარიმებდენ. თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა თემებშიც, ამის გამო ერობის გამგეობამ დააწესა თითქმის უმაღლესი ნიხრი მეათედი ოთხი გირვანქა ფუთზედ, უმცირესი ერთი მეოცედი—ორი გირვანქა ფუთზედ. ამ ნორმათა შორის მიეცემა თემებს წინადადება დანიხრონ წისქვილები ადგილობრივი პირობების და მიხედვით. დაწესებული ნორმა უნდა წარმოუდგინონ გამგეობას დასამტკიცებლათ.

აგარაკ წყალტუბოში მრავალ მოაგარაკეთა მოზღვავების გამო, კერძო ბინის მეპატრონეებმა საშინლად ასწიეს ფასები. (30—60 მანეთამდე დღე და-ღამეში), ამიტომ ერობის გამგეობამ, რათა აცდენილ იქნას მოაგარაკეთა ექსპლოატაცია თავიდან, დააწესა შემდეგი ნიხრი: კერძო ბინებს მიემატოს 20% იმაზედ რა ფასებიც ერობის ბინებს აქვს, ხოლო სასტუმროებს კი 25%.

სატარიფო პალატის დადგენილების თანახმად ერობის გამგეობამ სტამბაში მომუშავეთ გაუდიდა ჯამაგირები.

სენაკის მაზრის ერობას გადაეცა 10 ვერსის მანძილის რელსები მესამე კატეგორიისა.

ვინაიდან ზეკრის უღელ-ტეხილზედ გადმოდის გზა, რომელიც აერთებს ქუთაისს ახალციხის მაზრასთან, რომელთანაც გასულ წლებში საქონლის გაცვლა-გამოცვლა სწარმოებდა და ეს ახლა შეფერხებულია იმით, რომ საშიშროებას წარმოადგენს ყაჩაღების თარეშობის გამო, ერობის გამგეობამ მიანდო გამგეობის წევრს შ. სანებლიძეს გამოიმუშაოს პროექტი თუ როგორ მოეწყოს ზეკრის უღელ-ტეხილზე სადარაჯო და წარმოედგინოს გამგეობას დასამტკიცებლათ.

წყალტუბოს თემის ცნობით იქ ძალიან გავრცელებულა ბანქოს თამაში. მის საწინააღმდეგოთ თემს დაუდგენია დაჯარიმება. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა გამგეობამ მიანდო გ. წ. შ. სანებლიძეს რათა მან გამოიძიოს პროექტი სავალდებულო დადგენილებისა ამ ბოროტებასთან საბრძოლველად.

ფარცხანაყანევის თემის განცხადების თანახმად ს. მუხიანი, რომელიც მიწერილია ფარცხანაყანევის თემზედ არავითარ მონაწილეობას არ იღებს თემის საქმიანობაში. ეს საკითხი სასწრაფოდ გამოსარკვევად მიენდო ყრილობის მიერ არჩეულ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს წვრილი ერთეულების მიერ წამოყენებული ცენტრის და სხვა საკითხების შესახებ დავის მოგვარება და მოწესრიგება.

იანეთ ეწერის თემში გამწვავებულია მდგომარეობა თემის ცენტრის დაარსების საკითხზე სოფლების შეუთანხმებლობის გამო. საკითხი მინდობილი აქვს ყრილობის მიერ ამორჩეულ საგანგებო კომისიას, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება ადგილობრივად ამ საკითხის გამოსარკვევად.

უკანასკნელ ხანებში გახშირებულმა თავდასხმამ მატარებლებზე აიძულა მთავრობა მიეღო განსაკუთრებული ზომები ასეთი მოვლენებისაგან რკინის გზის და მგზავრთა დასაცავათ. ქუთაისის სამაზრო ერობამ, რათა დაცულ იქმნას რკინის გზა მომავალში, გადასწყვიტა მოაწყოს რკინის გზის განაპირა მცხოვრებთა მიერ დარაჯობა. დარაჯობას უხელმძღვანელებს მაზრის კომისარი თემთა გამგეობებთან შეთანხმებით. ამ საკითხის მოსაგვარებლათ გამგეობის წევრი შ. სანებლიძე და მაზრის კომისარი სასწრაფოთ გაემგზავრენ მაზრაში.

ერობის გამგეობის დავალებით ტფილისში გაემგზავრა ერობის ინჟინერი ივ. ხჩეიძე გზათა უწყებასთან მოლაპარაკების გასამართავად და პირობის დასადებათ აჯამეთის ტყის 700 დესიატინაზე სხვა და სხვა მასალების, შპალების და შეშის დამზადების ერობაზე გადმოსაცემათ.

ამ მოკლე ხანში გაიწერება მაზრის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეებზე სანიტარული გადასახადი.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

§ 10.

სასამართლო ხელისუფლება.

1. პრობლემები და ტიპები.

თანამედროვე დემოკრატია ისწრაფვის ყველა დაწესებულებაში და მათ რიცხვში სასამართლოშიც, დანიშნოს ის პირები, რომელთაც ხალხი ირჩევს. იგი მოუწოდებს იმ პირებს, რომელნიც ხალხს ნდობით სარგებლობენ და რომელნიც ამ ნდობას გაამართლებენ,—ამიტომ იგი მოითხოვს არჩევნებს, და სახელდობრ არჩევნებს მოკლე მოკლე ვადების გავლის შემდეგ. რამდენათ უფრო მოკლეა არჩევის ვადა, მით უფრო ძლიერია ხალხის გავლენა მის მოხელეებზე. მაგრამ დემოკრატიის ეს მისწრაფება ეწინააღმდეგება ორ უმთავრეს მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს თანამედროვე სახელმწიფო თავის მოსამართლეებს, მაგისტრატურას:—იურიდიულ განათლებას და დამოუკიდებლობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს გამოუცვლელობის არსებობას. იურიდიული განვითარება ზღუდავს ხალხის მიერ თავისუფალ არჩევას და ამიტომ თავის-თავად არის არა დემოკრატიული პრინციპი. მაინც თანამედროვე დემოკრატია ასე თუ ისე ანგარიშს უნდა უწევდეს ამ პოსტულატს, რადგან თანამედროვე სახელმწიფო მის რთულ ცხოვრებით და იურიდიულ დამოკიდებულებით, აუცილებლათ თხოულობს მოსამართლეებისაგან იურიდიულ განათლებას. ამაშია პირველი პრობლემა. შემდეგ, უნდა დაცულ იქნეს მოსამართლის დამოკიდებლობა. თანამედროვე დემოკრატიაში ეს დამოუკიდებლობა მდგომარეობს არა მარტო დამოუკიდებლობაში აღმასრულებელ ხელისუფლებისაგან, როგორც მონარქიაში, არამედ დამოუკიდებლობაშიც ხელმწიფე—ხალხისაგან. მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ამგვარი დამოუკიდებლობა, თუ მოსამართლეები ხალხის მიერ პერიოდიულათ უნდა აირჩეს და ისიც უფრო და უფრო ნაკლებ ვადაში? ამაშია მეორე პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება მოინახოს მხოლოდ აქ ზემოაღნიშნულ პოსტულიატების კომპრომისში. ამ კომპრომისის ვარგისობაზე არა ნაკლებ დამოკიდებულია თვით დემოკრატიის არსებობა, ვინაიდან იგი (არსებობა) დაბჯენილია კანონების უმაღლეს ბატონობაზე, და განსაკუთრებით კონსტიტუციურ კანონების უმაღლეს ბატონობაზე, და როგორც მალე დავინახავთ, სწორეთ თანამედროვე დემოკრატიაში სასამართლო ხელისუფლება აღჭურვილია საპატიო ვალდებულებით, nobile officium. იგი უმრავლეს თანამედროვე დემოკრატიაში, მოწოდებულია იქნეს კონსტიტუციური კანონების გუშაგი. ამგვარათ, ამ ხელისუფლების ორგანიზაციის პრობლემა არამც თუ მარტო ძნელია, არამედ მეტათ საპატიოცაა, რადგან საქმე ეხება დემოკრატიის სასიცოცხლო წევრს.

საერთოდ და მთლიანათ ამ პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია ამა თუ იმ დემოკრატიის ფორმისაგან. დემოკრატია ხელისუფლებათა განაწილებითურთ თავის მისწრაფებაში, რომ დამოუკიდებელი იქნეს სასამართლო ხელისუფლება ორ სხვა ხელისუფლებისაგან, სცდილობს დანიშნოს მოსამართლეები მთლიანათ სახალხო არჩევის საშუალებით, მაგრამ ყველა პარტიისმიმართ მეტათ შესაძლებელ დათმობის გზით იგი ისწრაფვის გაანთავისუფლოს სასამართლო ხელისუფლება პარტიათა აბსოლიუტურ ბატონობისაგან. უშუალო დემოკრატია, რომელიც ასე არ ზრუნავს ხელისუფლებათა განაწილებაზე, ისწრაფვის მოსამართლეთა არჩევნები მიანდოს საკანონმდებლო ხელისუფლებას. პარლამენტარული დემოკრატია, რომელიც უფრო უახლოვდება მონარქიას, და ისწრაფვის პასუხისმგებელი გახადოს თვითეული მინისტრი მის ქვემდებარე თანამდებობითი პირების გამო, ადვილათ უნარჩუნებს მოსამართლეების დანიშვნას აღმასრულებელ ხელისუფლებას. პარლამენტარული დემოკრატიის ეს ტენდენცია თუ რამდენათ საპატიოა, ამას ამტკიცებს კონსტიტუციური გარკვევა ამ ტიპზე უეჭველათ მიკუთვნილ რესპუბლიკა ჩილისა, რომლის მიხედვით ყოველთვის უნდა არსებობდეს დაწესებულება, რომელიც განაგებს იუსტიციის მმართველობას ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ესე იგი, განაგებს უმაღლეს მეთვალყურეობას მართლმსაჯულებაზე, დირექტივების გამოცემაზე და სასამართლოების ორგანიზაციათა სამეურნეო მხარეზე.

ასეთია იდეალური ტიპი, მაგრამ პრაქტიკა ხანდახან უხვევს მისგან.

II. მოსამართლეთა დანიშვნა დემოკრატიების სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში.

დემოკრატიაში ხელისუფლებათა განაწილებითურთ, როგორც უკვე თქმული იყო, სჭარბობს ხალხის მიერ მოსამართლეების არჩევა. მაგრამ აქ არის ორი განაკლისი. არსებობენ დემოკრატიები ხელისუფლებათა განაწილებითურთ, რომლებშიც აღმასრულებელი უფლება, ან აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ნიშნავს მოსამართლეებს,—ასეთია ჩრდილო ამერიკის კავშირი, შემდეგ ამ კავშირის 8 შტატი და აგრეთვე ცენტრალ და სამხრეთ ამერიკული ზოგიერთი რესპუბლიკა (არგენტინა, კუბა, ბრაზილია, პარაგვაი, პანამა). მაგრამ არსებობენ ისეთი დემოკრატიები ხელისუფლებათა განაწილებითურთ, რომელნიც მოსამართლეების არჩევას ანდობენ საკანონმდებლო ხელისუფლებას, როგორც მთელს ასეთს ეკუთვნიან კავშირის შემდეგი შტატები: როდ აილენდი, ვირგინია, ჩრდილო და სამხრეთი კაროლინა, გეორგია და ვერმონტი; შემდეგ: ცენტრალურ-ამერიკულ რესპუბლიკების უმრავლესობა, გარდა პანამისა, სადაც მოსამართლეები ინიშნებიან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, და გარდა გვატემალასი, სადაც მოსამართლეებს ირჩევს ხალხი,—და ბოლოს, სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკათა უმრავლესობა. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ აქ მხოლოდ ბოლივია, სადაც უმაღლეს სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს დეპუტატთა პალატა სენატის წინადადების მიხედვით, და დაბალ მოსამართლეებს კი ნიშნავს უმაღლესი სასამართლო. უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე პერუ, სადაც უმაღლეს სასამართლოს ნიშნავს კონგრესი აღმასრულებელ ხელისუფლების წინადადების მიხედვით,—დანარჩენს კი ნიშნავს აღმასრულებელი ხელისუფლება უმაღლეს სასამართლოთა წინადადების მიხედვით.

ზოგიერთი დემოკრატია ხელისუფლებათა განაწილებით სცდილობდა დაესუსტებია პარტიული გავლენანი, რომელნიც ჩნდებოდენ მოსამართლეების არჩევის დროს, სასამართლოებში უმცირესობის წარმომადგენლობის შექმნით. ასე მაგ., ნიუ იორკის შტატი აწესებს, რომ სააპელაციო სასამართლოში არჩევნების დროს თვითეულ ამრჩეველს შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარეს გარდა ექვსიდან მხოლოდ ოთხი მოსამართლე. ამ შეზღუდულ არჩევნების წყალობით შესაძლებელი ხდება უმცირესობის წარმომადგენლობა. ასეთივე წესრიგი დაამკვიდრა ილინოისის კონსტიტუციამ საოლქო სასამართლოსათვის და პენსილვანიამ უმაღლეს სასამართლოს არჩევნებისათვის. შტატმა ოგაიომ უმაღლეს სასამართლოსთვის არჩევნების გამო შემოიღო კუმულიატიური კენჭის ყრა.

2. პარლამენტარულ დემოკრატიაში მოსამართლეების დანიშვნა ეკუთვნის აღმასრულებელ ხელისუფლებას (საფრანგეთი, გაიტი, ჩილი). ის იურიდიული ზომები, რომელნიც მონარქიის მიერ გათვალისწინებული არიან ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დანიშვნების დროს, აუცილებელი ცვლილებით აქაც არიან განხორციელებულნი. მაგრამ მომრიგებელნი მოსამართლენი, რომელთაც წილათ ხვდებათ მრავალი საქმე გასამართლებისა, თვით პარლამენტარულ დემოკრატიაშიც ხალხის მიერ აირჩევიან (გაიტის გარდა, სადაც მათ აღმასრულებელი ხელისუფლება ნიშნავს). ვენეცუელაში უმაღლეს სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს კონგრესი ამასთანავე მხედველობაში იღებენ ყველა პროვინციის კანდიდატებს. სხვა დანარჩენ მოსამართლეთ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ნიშნავს.

3. უშუალო დემოკრატიაში ბატონობს პრინციპი, რომლის მიხედვით მოსამართლეთა არჩევა ეკუთვნის საკანონმდებლო ხელისუფლებას; ამ პრინციპს ჩვენ ვხვდებით შვეიცარიაში, როგორც კავშირში, ისე მრავალ კანტონში. სახალხო არჩევნები გვხდება საერთოდ მხოლოდ კანტონებში Laudesgemeind ეთი (ესე იგი საერობო თემით), შემდეგ, კანტონებში: ბაზელი—ქალაქი და ტესსინი. შვიცში და აპენცელ აუსსერროლენში მხოლოდ სისხლის სამართლის მოსამართლეებს არ ირჩევს ხალხი. დანარჩენ კანტონებში მოსამართლეთა არჩევა, ყოველ შემთხვევაში უმაღლეს სასამართლოს მოსამართლეთა არჩევა, ენდობა საკანონმდებლო ხელისუფლებას (დიდ საბჭოს ან საკანონმდებლო დაწესებულებას სხვა სახელით). ყველა კანტონში, გარდა ფრეიბურგისა, ვაალტისა და ჟენევისა, მომრიგებელ მოსამართლეებს ირჩევს მათი ოლქის (უბნის) ყველა მოქალაქე, რომელთაც ხმა აქვთ. ზოგიერთ კანტონში სასამართლოში არჩევნების დროს დაცული უნდა იქნეს უმცირესობის პროპორციული წარმომადგენლობა (ზოლოტურნი, ლიუცერნი) კავშირში, უმაღლეს სასამართლოში სამოსამართლო თანამდებობაზე დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა, სამივე ნაციონალური ენა. რასაკვირველია, მოსამართლეებს არჩევნების დროს პროპორციას არ აქვს დაახლოვებითაც ის მნიშვნელობა, რაც აქვს საკანონმდებლო და სამთავრობო დაწესებულებებში არჩევნების დროს, რადგან სასამართლო დაწესებულებამ—საკანონმდებლო ხელისუფლებასავით არ უნდა გამოხატოს თავის გადაწყვეტილებებში სახალხო ნება, იგი შებოჭილია მხოლოდ კანონში განმტკიცებულით, და მაშასადამე, გამოხატული ნებით, ანუ, კონსიდერანის სიტყვით რომ ვსთქვათ, მოსამართლეებს, აქვთ გადამწყვეტი ხმა—vote décisif; მაგრამ არა წარმომადგენლობითი—voté

représentatif. მაგრამ ამას გარდა საჭიროა სასამართლო ხელისუფლებაზე პარტიული გავლენა გარდაიქცეს თავისებურ იურიდიულ ინსტიტუტათ, ვინაიდან ეს ადვილათ დაახიანებდა სასამართლოს დამოუკიდებლობას.

იქ, სადაც დემოკრატიებში დაწესებულია არჩევნები, კანდიდატებს უდგენენ განსაზღვრულ მოთხოვნილებებს, ასე მაგ., სახელმწიფოს მოქალაქის უფლებების ფლობას, მამრობით სქესს (გარდა შტატებისა: უომინგი, კოლორადო, უტა, კანზასი და ილაგო). საყურადღებოა მხოლოდ იურიდიული მომზადების მოთხოვნილება, მაგრამ მას მოითხოვს მხოლოდ მცირე რიცხვი დემოკრატიისა (უმეტესათ ცენტრალ და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში.

იქ, სადაც დაწესებულია არჩევნები, ზოგჯერ მოსამართლეებს არ შეუძლიათ უარი სთქვან თანამდებობაზე,—ასეთი წესრიგია შვეიცარიის ზოგიერთ თემში—landsqemeinden,—შემდეგ ს.-გალენში, ლიუცერნში და ზოგიერთ ცენტრალ და სამხრეთ ამერიკულ რესპუბლიკაში (მაგ. ეკვადორი). მოსამართლის სახელწოდება ითხოვს გარკვეულ პროფესიულ მდგომარეობას ესე იგი ვერ მოთავსდება სხვა თანამდებობასთან და პროფესიასთან, რომელსაც შეეძლოს მოსამართლე დააცილოს უმთავრეს მიზანს. დემოკრატიაში ხელისუფლებათა განაწილებითურთ ამას ემატება კიდევ მოთხოვნილება, რომ სასამართლოს ფუნქციები საკანონმდებლოსაგან სრულიად განკერძოებული იყოს. ამიტომაც უმრავლესმა დემოკრატიებმა განაცხადეს, რომ მოსამართლის მოვალეობანი ვერ შეეთვისებიან სახალხო წარმომადგენლის ფუნქციებს.

III **მოსამართლის თანამდებობის შეწყვეტა.**

სახალხო არჩევნების ან საერთოდ არჩევნების დროს თანამდებობიდან გადაყენების მიზეზათ ითვლება ვადის გასვლა. ხელმეორეთ არჩევნები იშვიათადაა აკრძალული. რესპუბლიკებში თანამდებობაზე დანიშვნის ვადა ქანობს ერთ წელსა (აპპენცელ-ინერროდენი და აუსსერროდენი) და ოცდა ერთ წელს შუა (პენსილვანიაში). მაგრამ იქაც კი, სადაც მოსამართლეებს სამუდამოთ კი არ ირჩევენ არამედ სავსებით გარკვეულ ვადაზე, მათთვის იმ აზრითაა აღიარებული გამოუცვლელობა, რომ ისინი თანამდებობიდან დათხოვნილი შეიძლება იქნენ მხოლოდ კანონიერ საფუძვლის და სასამართლოს განაჩენის მიხედვით. რესპუბლიკებშიც მოსამართლეებზე ვრცელდება დისციპლინური წარმოება, ჩრდილო,—ცენტრალ—და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებში იგი ყალიბდება impeachment-ის ფორმაში. პერუში დაწესებულია მოსამართლეების საჯაროთ პასუხისგებაში მიცემა ლალატისათვის, მექრთამეობისათვის, მართლმსაჯულებაზე უარის თქმისათვის, ძირითად უფლებათა განქიქება და დარღვევისათვის.

V. სასამართლო ხელისუფლების ყველა ფუნქციიდან ყველაზე უმთავრესია—იურისდიქცია. ზოგიერთი ჩრდილო—სამხრეთ—ამერიკული რესპუბლიკები (როგორც მაგ., ეკვადორი) ამ ხელისუფლებას ანიჭებენ ინიციატივის უფლებას ანუ, ყოველშემთხვევაში საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ იუსტიციის შესახებ კანონების განხილვის დროს მონაწილეობის მიღებას.

უმრავლეს დემოკრატიებში, განსაკუთრებით მათში, რომელნიც ეკუთვნიან ტიპს, დემოკრატიას ხელისუფლებათა განაწილებითურთ, კანონი სასამართლო ხელისუფლებას ანიჭებს უფლებას, რომ კანონების კონსტიტუციობა გაშინჯოს, თვალყური ადევნოს. პირველათ ამ აზრამდე მივიდენ საკავშირო კონსტიტუციის მამები; მათ დაასაბუთეს ეს უფლება გაშინჯვისა არა მით, რომ შექმნილიყო საკანონმდებლო ხელისუფლებაზე სასამართლო ხელისუფლების უპირატესობა, არამედ მით, რომ მოსამართლენი, როგორც სუვერენული ხალხის მსახურთ, შებოჭვილი იყვნენ პირველათ ყოვლისა კონსტიტუციით, მხოლოდ შემდეგ კანონით.

„კანონების ახსნა-განმარტება არის სასამართლოების საკუთარი და განსაკუთრებული მოწოდება. კონსტიტუცია მართლაც არის ძირითადი კანონი და მოსამართლეები მას ასეთადაც უნდა სთვლიდენ. მათ შორის (ესე იგი კონსტიტუციასა და კანონს შორის) შეურიგებელი წინააღმდეგობა რომ აღმოჩნდეს, მაშინ მას, რომელსაც აქვს უპირატესობითი მოვალეობა და ძალა; სინამდვილეშიც უნდა იქნეს უპირატესობა, ანუ სხვა სიტყვებით, კონსტიტუცია უნდა უპირატესი იქნეს კანონთან შედარებით... მაგრამ ეს შედეგი არ გულისხმობს, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, სასამართლო ხელისუფლების უმჯობესობას საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. იგულისხმება მხოლოდ ის, რომ ხალხი ორივე ამ ხელისუფლებაზე მაღლაა". (Federalist № 71). მაგრამ ეს საბუთები, რომელნიც მოყვანილი არიან საკანონმდებლო ხელისუფლებაზე სასამართლო კონტროლის სასარგებლოთ, თავისი შინაარსით განეფინებიან არა მარტო ერთი დემოკრატიით ხელისუფლებათა განაწილებითურთ, არამედ თანასწოროთ ნამდვილი არიან ყველა დემოკრატიისათვის. ყველა დემოკრატიაში როგორც საკანონმდებლო, ისე სასამართლო ხელისუფლება ერთნაირათ ხალხის მსახურნი არიან; ყველა დემოკრატიაში ხალხი არის ჯამ ხელისუფლების ბატონი და ერთი მსახური მოწვეულია კონტროლი გაუწიოს მეორეს. ამიტომ ზოგიერთ შვეიცარულ თემში (Landsgemeinden) (სხვა დახარჩეში ძნელია ხელისუფლებათა განაწილების გამონახვა) ჩვენ გვხვდება კანონის გაშინჯვის ასეთი სასამართლო უფლება თვით თემის კანონების მიმართ,—ამგვარათაა მაგ. კანტონები: ური და ნიდვალდენი. აქ დაშვებულია სასამართლოებისადმი მიმართვის უფლება, კერძო პირთა უფლებების დარღვევის გამო, რომელიც შეუძლია მოახდინოს საკანონმდებლო თემის დადგენილებებმა; ასე მაგ. ნიდვალდენის კონსტიტუციის მე-43 მუხლი ამბობს: „თუ ვინმე დარღვეულათ სთვლის თავის კერძო უფლებას Landsgemeinde-ს (თემის) დადგენილების გამო, მას შეუძლია მიმართოს კანონიერ მოსამართლეს". ამდაგვარივეა ურის კონსტიტუციის მე-51 მუხლი: „ის, რასაც თავის რწმუნებულობის ფარგლებში თემი ადგენს, არის ქვეყნის კანონი და უნდა დაცული იქნეს როგორც კანონი. თუ ვინმე თემის დადგენილების გამო დარღვეულათ სთვლის თავის კერძო უფლებებს, მაშინ მას შეუძლია მიმართოს ჩვეულებრივ სასამართლოს. ეს უკანასკნელი ვალდებულია კეთილ-სინდისიერათ, აქტების საფუძვლის მიხედვით, გაარჩიოს საქმე ხალხსა და მომჩივანს შორის". დანარჩენ შვეიცარულ კანტონებში და საფრანგეთში არაა დაწესებული მოსამართლეების მიერ კანონების გაშინჯვის მატერიალური უფლება, თუმცა—სწორეთ საფრანგეთში ხშირათ გაისმოდა ხმა ამ უფლების სასარგებლოთ. რომ ეს გაშინჯვის უფლება არსებითად არ ეწინააღმდეგება პარლამენტარულ დემოკრატიას, ამას ამტკიცებს ორი რესპუბლიკა, რომელთა კონსტიტუციებში კატეგორიულათაა აღიარებული ეს უფლება: გაიტი (მუხლი 147) და ვენეცუელა (მუხ. 95 პ. 10).

ტფილისის თვითმმართველობაში.

თათბირი კოოპერატივებისთვის მუნიციპალურ დუქნების გადაცემის შესახებ.

პარასკევს, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის მოურავის კაბინეთში მოხდა მოლაპარაკება კოოპერატიულ ორგანიზაციათა ერთის მხრით და მეორის-ქალაქის მოურავის და სასურსათო განყოფილების გამგის კ. პანიევის შორის ტფილისის კოოპერატივთა კავშირისთვის გადაცემულ ქალაქის დუქნების შესახებ წარსულ წლის 22 ნოემბერს დადებულ ხელშეკრულების გაუქმების საკითხის გადასაწყვეტლათ. შარშან ქალაქმა ტფილისის კოოპერატივთა კავშირს გადასცა ქალაქის დუქნები მთელ განმანაწილებელ აპარატით იმ პირობით, რომ ქალაქის მიერ გადაცემული სურსათი და პირველ საჭიროების საგნები ხელმისაწვდომ ფასებში გაეყიდათ კოოპერატივებს ამ დუქნებში. მცირე ხნის განმავლობაში ქალაქმა გადასცა 800 ათასი მან. საქონელი, რომელიც კოოპერატივებმა გაყიდეს და ქალაქს კი ფული არ დაუბრუნეს. ამას გარდა ქალაქის მიერ გადაცემული შაქარი კოოპერატივებმა წესიერათ არ დაარიგეს და ბოროტ მოქმედებასაც ჰქონდა ადგილი მის განაწილების დროს. ყველა ამის გამო ამას წინათ ერთერთ თავის სხდომაზე ქალაქის გამგეობამ დაადგინა ზემოხსენებულ ხელშეკრულების გაბათილება, მაგრამ ამ საკითხის ქალაქის საბჭოში განხილვა კოოპერატივთა წარმომადგენლების თხოვნით გადაიდო. აღნიშნულ საღამოს, 3 ოქტომბერს ქალაქის მოურავთან თათბირში მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის და ტფილისის კოოპერატივთა კავშირების, ამიერ კავკასიის და საქართველოს კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოების წარმომადგენლებმა და პროფ. ტოტომიანცმა. ქალაქის მოურავმა ბ. ჩხიკიშვილმა განაცხადა, რომ გამგეობის დადგენილების გაბათილება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ ჯერ ვერ მოხდება, მაგრამ მისი სისრულეში მოყვანა შეჩერებულ იქნება, თუ კოოპერატივთა წარმომადგენლები ძირითად პირობებს მიიღებენ: რომ ვალი გადახდილ იქნეს ერთი წლის განმავლობაში მოსკოვის სახალხო ბანკის ტფილისის განყოფილების თავდებობით და ქალაქის გამგეობის წარმომადგენლების მონაწილეობით მოხდეს ტფილისის კოოპერატივთა კავშირის რეორგანიზაცია. ეს პირობები კოოპერატივებმა მიიღეს. მოკლე ხანში შესდგება რამდენიმე თათბირი ხელშეკრულების განახლების შესახებ.

მომარაგების მთავარ სამმართველოში.

ახალი ხელშეკრულებანი საქონლის მისაღებათ.

რესპუბლიკის მომარაგების მთავარ სამმართველომ რამდენიმე ახალ ხელშეკრულება კიდევ დასდო ფართლეულის, ფეხსაცმელის, ფქვილის და შაქრის მისაღებათ, ეს საქონელი განაწილებული იქნება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების შორის, ხოლო ერთი ნაწილი კოოპერატივებს დაეთმობა.

სავალიუტო საქონლის მონოპოლიზაცია.

მომარაგების მთავარი სამმართველო მთავრობას უდგენს მოხსენებას ყველა სავალიუტო საქონლის, როგორც მაგალითათ ქვანახშირის, მატყლის, აბრეშუმის პარკის და სხ., მონოპოლიზაციის აუცილებლობის შესახებ. ხსენებული მოხსენება შემუშავებულია მომარაგების სამმართველოს შემსყიდველ ბიუროს გამგის ბ. შრეიდერის მიერ, ამ დღეებში განხილული იყო განსაკუთრებულ თათბირზე და მოწონებულ იქნა მთავრობის უახლოეს სხდომაზე შესატანათ.

მომარაგების სამმართველოს რეორგანიზაცია.

რადგანაც ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი სავალიუტო სხვა და სხვა საქონლის მონოპოლია დაიბადა აზრი მომარაგების მთავარ სამმართველოს ორგანიზაციის რეფორმის შესახებ.

ინდოეთის ჩაის მიღება.

მომარაგების მთავრ სამმართველოს ამ დღეებში მოუვიდა 100 ფუთი ინდოეთის ჩაი, რომლის განაწილებაც ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს მიენდობა. გირვანქა ეს ჩაი 84 მან. გაიყიდება. ჩაი საუკეთესო ხარისხისაა.

სხვა და სხვა.

✦ 4 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ბრიტანეთის ლაშქრის შტაბის უფროსი გენერ. მაიორი ჰარბორდი მიემგზავრება ბაქოში, სადაც უნდა მივიდეს 5 ოქტომბერს, დილის 9 საათზე; საღამოს კი უკან უნდა დაბრუნდეს და ტფილისში იქნება 8 საათზე; იმავე დღეს იმავე მატარებლით 8 საათ. ჰარბორდი უნდა გაემგზავროს ბათუმში, სადაც მივა 7 ოქტომბერს, დილის 7 საათზე. ამავე მატარებლით ტფილისიდან ბაქოში მიემგზავრებიან ადერბეიჯანის მთავრობის წევრები.

✦ კვირას, 5 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, წ. კ. გ. საზ. ბინაზე (დამფ. კრების ქუჩა № 5) დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირების გამგეობათა შეერთებული კრება. განსახილველია: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის სამოქმედო პროგრამა.

✦ 24 ენკენისთვეს და 25, ბედენზე ალბულილის მილიციის უფროსმა ალყა შემოარტყა ყაჩაღთა ბრბოს და დაატუსაღა 8 ყაჩაღი, მათში ცნობილი დიდი ხნით დევნილნი „ერეკლე" და გიორგი თამაზოვი და ამირან ორპირიძე. დევნა გრძელდება.

✦ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში შაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია ამავე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება. განსახილველია ფრიად საჭირო საქმეები. გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ყველა მშობლებს დაესწრონ კრებას.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ საინიციატივო ჯგუფი იწვევს საშუალო და დაბალ სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებს და აგრეთვე გეოგრაფიასთან ახლო მდგომ პირებს გეოგრაფიულ საზოგადოების საორგანიზაციო კრებაზე, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, ნაშუადღევის სრულ 5 საათზე ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმში (მტკვრის სანაპირო, ვერის ხიდის მახლობლათ).

✦ რედაქციამ მიიღო საქართველოს ცენტრალურ კოოპერატივთა კავშირის გამოცემა „კოოპერატივის მოანგარიშე" (ნიმუშები კოოპერატივის ანგარიშებისა) შედგენილი ამიერ-კავკასიის კოოპ. კავშირის ინსტრუქტორის მ. ტოროშელიძის მიერ და მოწონებული ინსტრუქტორთა კოლეგიის მიერ.

✦ კვირას, 12 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში დანიშნულია ტფილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა დელეგატების საზოგადო კრება. განსახილველია: 1) მოხსენება საბჭოსი თავის მოქმედების და მჭიდრო კავშირის შექმნის შესახებ; 2) საბჭოს მუშაობის დამაბრკოლებელი მიზეზები; 3) საშუალებანი კავშირის გასავრცელებლად; 4) წესდების მეოცე მუხლის შეცვლა; 5) კომიტეტის უფლებები; 6) ეკონომიური მდგომარეობა და 7) მიმდინარე საქმეები. მოხელეთა კავშირის საბჭო სთხოვს დელეგატებს აუცილებლად დაესწრონ ხსენებულ კრებას.

✦ ორშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამ. 7½ საათ. ერობის შენობაში (რუსთაველის პროსპექ. № 6) შესდგება საქართველოს ექიმთა პროფეს. კავშ. ტფილისის განყოფილების საზოგადო კრება, რომელზედაც ასარჩევია მუდმივი გამგეობა და გასარჩევია სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

✦ დღეს. დილის ათს საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში, მოხდება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ჯერ წაკითხულ იქნება საზოგადოების თავმჯდომარის ე. თაყაიშვილის მიერ მოხსენება, „ყარსის ოლქის ზოგიერთი ქართული ძველი ნაშთები" და შემდეგ განიხილავენ საზოგადოების წლიურ ანგარიშებს 1918 წლისას და კრების სხვა მორიგ საგნებს. კრებას გარეშეთაც შეუძლიათ დაესწრონ.

განცხადებანი

1919 წ. ოქტომბრის 1-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. თედორე ფილიპეს ძე და ცოლმა მისმა აქსინია ერმოლოზის ასულმა კრანკოვებმა 25000 მან. მიჰყიდეს ალექსანდრე ქიტესის ძე ჩილაშვილს მიწის ნაჭერი ზომით 60 კვ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის 8 უბანში, ჩუღურეთში, ამატუნიევის ქ., № 27. ქალაქ. № 347.

გადახდილია; საქტო 3 მან., განც.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის 1000 მან.

მთავარი ამონაწერი 125 მ. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მიცემულია. 290 1—1

1918 წ. მაისის 23, ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნა ყიდობის სიგელი, რომლითაც ოლღა საჩი ის ასულმა, იასონ, ილარიონ, ნინო, გიორ გი, ნიკოლოზ ვასილის ძეთ გაბაშვილებმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 230 0 მან. გაჰყიდეს მიწის ნაჭერი, ზომით 10 4 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში № 50. გადახდილია: საქტო 3 მ., განც 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკ ცის 92 მან., მთავარი ამონაწერი 11 მან. 50 კ. ღირებულების სადერბო ქაღალდზე მი ცემულია. 291 1—1

სოხუმი ს ოლქის სას. უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1919 წ, მაისის 5 დამტკიცებულია ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრებმა ზინაიდა ვასილის ასულმა ზანჩენკომ 110.000 მ. მიჰყიდა ად იურის ძე ტრუმანს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. სოხუმში, I პოდგორნი ქ., ლიტ. ე. № 2, ზომით 482,2 კ. ს.

გადახდილია სიმტკიცის 4400 მან., მთავარი ამონაწერი 550 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

904. 1—1

1918 წ. მაისის 23 ს ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. კონსტანტინე პოლიხრონოვიჩმა 5000 მ. მიჰყიდა ერკაპიდი ბიჭიას, იგივე ბართლომე საჩინოს ძე იოსელიანს მიწის ნაჭერი შენობებით, მდებარე ქ. სოხუმში, ახალ ათონის გზატკეცილზე, კვ. 12, № 1, ზომით 82,72 კვ. ს. სიმტკიცის გადახდილია 200 მ.

მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

1040 1—1

1918 წ. ივნისის 17-ს ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ნატალია ივანეს ასულმა დონაძემ 1700 მ. მიჰყიდა ნინო ივანეს ასულს იაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 160 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე 6 უბანში, რეიტეროვის ქ., ქალაქ. № 845.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ.—1 მ. 50 კაპ., გადასაწერი—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 68 მან.

მთავარი ამონაწერი 8 მ.50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

281 1—1

1918 წ. მაისის 20 ს ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. სოლომონ იოსების ძე და ეკატერინე იაკობის ასულმა ალდგომელაშვილებმა 3000 მან. მიჰყიდეს გიორგი გაბრიელის ძე და მატრონე პროხორის ასულს მრიკოტენკოს უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 75 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 8 უბანში, ქალაქ. № 1019.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.— 60 კ., სიმტკიცის—120 მ.

მთავარი ამონაწერი—15 მ. ღირებულების საღერბო ქაღალ. მიცემულია.

291 1—1

ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა ამით აცხადებს საჯაროდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების მეექვსე მუხლის თანახმათ, რომ საერთო სია ნაფიც მსაჯულთა ტფილისის მაზრაში გამოფენილი იქნება ამ წლის 3 ოქტომბრიდან ტფილისის მაზრის ერობის გამგეობაში იურიდიულ განყოფილებაში და ყველა მსურველთ შეუძლიანთ ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულ დღიდან განიხილონ სია და შემოიტანონ განცხადება საჭირო ცვლილებებზე. **გამგეობა**

სასამართლოს ბოქაული თელავის სამომრიგებლო განყოფილებისა, მცხოვრები ქ. თელავში, მით აცხადებს, რომ 15 გიორგობისთვეს 1919 წ., დილის 10 საათზე, ქ. თელავში, სამომრიგებლო გინყოფილების დარბაზში, მოხდება საჯარო ვაჭრობა უძრავ ქონებისა, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულ მოქალაქე გრიგოლ (იგივე გიორგი) ივანეს ძეს თურმანიძეს, მდებარე სამაზრო ქ. თელავში და შეიცავს ორ სართულიან ქვითკირის სახლს, ორ-ორ ოთახისგან შემდგარი, თავისივე ეზოთი, მიწით მათ ქვეშე ზომით, მაგალითად სიგრძით 20 საჟენი, სიგანით აღმოსავლეთის მხრიდან მომრგვალო ხაზათ 6 საჟენი და დასავლეთის მხრიდან 8 საჟენი.

მამული ესე იყიდება 2000 მანეთ ვალში სასარგებლოთ სოფ. შალაურში მცხოვრებლების ვანო და ალექსი ილიას ძეთა ოქრუაშვილებისა.

კანონიერი დაფასება მამულისა 315 მანეთია, ხოლო დაფასებულია 800 მანეთად, რომლიდანაც დაიწყობა ვაჭრობა. მოვაჭრენი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ რვა თუმანი გირაო თითომ. 1480 1—1

1918 წ. ოქტომბრის 12 ს ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ფილიპე ანტონის ძე ვერეშჩაგინმა 5700 მან. მიჰყიდა ვასილ ეფრემის ძე პანჯიკიძეს მიწის ნაჭერი, ზომით 118,12 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 11 უბანში I ნაზარეთის ქ., ქალაქ. № 927.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ, გადასაწ.—1 მ. 20 კ. სიმტკიცის 228 მან.

მთავარი ამონაწერი 28 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

288 1—1

1918 წ. სექტემბრის 20 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკიტა აზარისძე როშჩუკინმა და ფარნციშკა ლეონარის ასულმა ბეზტრიცკაიამ 1500 მან. მიჰყიდეს პელაგია იოსების ასულს კიკვაძეს მიწის ნაჭერი № 1226, ზომით 84 კვ. ს. მდებარე ქ. ტფილისის მე 11 უბანში, ქალაქის № 1473.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ. 1 მან. 50 კ., გადასაწ.— 60 კ., სიმტკიცის—60 მ.

მთავარი ამონაწერი 7 მ. 60 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 304 1—1

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახაზინო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილება ამით აცხადებს, რომ ამა წლ. 11 ოქტომბერს, ოთხშაბათს შუა დღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (პეტრე დიდის ქ. 22) მიწათ-მოქმედების მინისტრის ნებართვით, დანიშნულია სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა (შეიძლება დაბეჭდილი კონვერტების წარდგენაც) თევზის დაჭერის უფლების მიღებაზედ მდ. ხრამზე, და დებედაჩაი—მანთაშევისეულ და არამიანცისეულ მამულების ფარგლებში. საჯარო ვაჭრობა დაიწყება 30.000 მანეთიდან. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარადგინოს განყოფილების სახელზედ წერილობითი განცხადება 2 მან. საღერბო გადასახადით და შემოიტანოს ბე 30 პროცენტი იმ თანხისა, რომლიდგანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

კონდიციების გაცნობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე 1906 2-2

1918 წ. მაისის 18 ს ტფ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ივანე სტეფანეს ძე ვორონევმა 2000 მ. მიჰყიდა ანტონ ოქროპირის ძე ყურაშვილს მიწის ნაჭერი, მდებარე აგარაკ საგაბაშვილო თხინვალში, იგივე საბურთალო, ზომით 90 კვ. ს.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კ., სიმტკიცის—80 მან.

მთავარი ამონაწერი—10 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

291 1—1

1918 წ. იანვრის 15 ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ივანე ანდრიას ძე დრომბტოვმა 4200 მან. მიჰყიდა მოქ. ნიკოლოზ თედორეს ძე ციკლაურს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 57,63 ოთხკ., საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე 11 უბანში, ქალაქ. № 401ª.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიც.—168 მ.

მთავარი ამონაწერი 2 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 294 1—1

1918 წ. მაისის 9-ს ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. კონსტანტინე კარაპეტის ძე ნახშუმოვმა 3000 მან. მიჰყიდა სტეფანე გრიგორის ძე ბაბანიანცს მიწის ნაჭერი ზომით 23 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 7 უბანში, ქალაქ. № 716.

გადახდილია: სააქტო—3 მ. განცხ.—1 მ. 50 კ; გადასაწერი— 60 კ., სიმტკიცის — 120 მ.

მთავარი ამონაწერი 15 მან ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია

288 1—1

1919 წ. ოქტომბრის 7-ს ქუთაის. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ირინე სიდორის ასულმა შტეპერმანმა აჩუქა ნიკოლოზ ვასილის ძე შტეპერმანს, იგივე სტეპერმანს უძრავი ქონება, რომელიც შეფასებულია 1135 მ. და შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 7585 ოთხკ. საჟ, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბ, ქალაქ. № 898.

გადახდილია. სააქტო—3 მ., განცხად.— 1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ. და მამულის უფასოთ გადასვ. 19 მ. 80 კ.

მთავარი ამონაწერი 7 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

289 1—1

1918 წ. ოქტომბრის 5-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე სტეფანეს ძე მურუზოვმა 52000 მ. მიჰყიდა ნიკოლოზ პეტრეს ძე ჩიტაშვილს, იგივე თევდორაშვილს, მიწის ნაჭერი, ზომით 171 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ფასანაურის შესახვევში, ქალ. № 1152.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 2080 მ.

მთავარი ამონაწერი 260 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

288. 1—1

1918 წ. ივლისის 1-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ, იაზონ, ილარიონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილისძეთ და ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილებმა 2080 მან. მიჰყიდეს ბესარიონ და გერასიმე ლუკასძეთ ქიქინაძეებს მიწის ნაჭერი, ზომით 104 კვ. კ, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ., 1. მ. 50 კ., გადასაწ. 1მ. 20 კ., სიმტკიცის 83 მ. 20 კ.

მთავარი ამონაწერი 10 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

281 1—1

1918 წ. სექტემბრის 15-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც არკადი სერგის ძე სნეჟკოვმა 26500 მ. მიჰყიდა ვააგ ქალკონის ძე ნაზარეტიანცს უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით ზომით 295,18 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 6 უბ, ქალაქ. № 697.

გადახდილია: სააქტო 3—მ., განცხ.—1 მ. 50 კ, გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის—1060 მან.

მთავარი ამონაწერი 135 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 304 1—1

1918 წ. ოქტომბრის 15 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ევდოკია გიორგის ასულმა სედელნიკოვამ 2000 მან. მიჰყიდა ესტატე იოსების ძე ცხოვრებაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, 35 საჟ. 6 არ., მდებარე ქ. ტფილისის მე 7 უბანში, ნორიის შესახვევში, ქალაქ. № 670.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კაპ., გადასაწ. 60 კ., სიმტკ. 80 მ.

მთავარი ამონაწერი 10 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

288 1—1

1919 წ. ოქტომბრის 2 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კაროლინა და ლუიზა ივანეს ასულთ ეიტცემა 480,000 მან. მიჰყიდეს ტიგრან გერასიმეს ძე, იგივე კარაპეტისძე, ვართანოვს მიწის ნაჭერი, ზომით 312 ½ კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-3 უბანში, ნერსესიანის, ბარონის და რუსულ ქ. ქალ. № 273.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ.—1 მ 50 კ., გადასაწ.—1 მ. 80 კ., სიმტკიცის 19,200 მან.

მთავარი ამონაწერი 2400 მ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

1919 წ. ივლისის პირველს ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ვასილ საბრალოს ძე ბებრიშვილმა 20,000 მან. მიჰყიდა აქსენტი ივანეს ძე ჯანგველაძეს უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 87,7 კვ. ს., მდებარე ქალ. ტფილისის მეოთხე უბ. ქალ. № 357.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ., 1 მან. 50 კ., გადასაწ. 60 კ., სიმტკიცის 8000 მ.

მთავარი ამონაწერი 100 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

282 1—1

1918 წ. ივნისის 20, ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იასონ, ილარიონ, ნინო, გიორგი, ნიკოლოზ ვასილის ძეთ და ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 1193 მან. მიჰყიდეს დავით იოსების ძე ლოლაძეს მიწის ნაჭერი, ზომით 26½ კვ. საჟ., მდებარე ქალ. ტფილისის 1 უბ., ქალაქ. № № 1460, 1461, 1462, 1463, 1464

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ., 50 კ., გადასაწ.—1 მ. 50 კაპ. სიმტკიცის—47 მ. 72 კ., მთავარი ამონაწერი 6 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

281. 1—1.

1918 წ. ოქტომბრის 13 ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დარია ნიკოლოზის ასულმა შმილევამ 1000 მ. მიჰყიდა ნიკოლოზ გიორგის ძე კიკნაძეს მიწის ნაჭერი, ზომით 113,73 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბანში, ქალაქ. № 1644.

გადახდილია: სააქტო 3 მან. განც.—1 მან. 50 კ., გადასაწ.— 60 კ., სიმტკიცის—46 მან.

მთავარი ამონაწერი 5 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

340 1—1

1918 წ. მაისის 2-ს ტფილისის ოლქის სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქ. ილარიონ, იაზონ, ნინო, გიორგი, ნიკოლოზ, ვასილისძე, ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 0268 მან. მიჰყიდა გიორგი იოსებისძე ჩიქოვანს, ნესტორ მიქელის ძე, ამბაკო ეფრემის ძე ოგულავებს მიწის ნაჭერი, ზომით 332 კვ. ს, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში № 74, ქალ. № 50.

გადახდილია; სააქტო—3 მან., განცხ.,—1 მ. 50 კ., გადასაწ.— 1 მ, 20 კ. სიმტკიცის—370 მან. 72 კ

მთავარი ამონაწერი 46 მ. 50 კ. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

290 1—1

1918 წ. ოქტომბრის 28-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ, ილარიონ, იაზონ, ნინო, გიორგი, ნიკოლოზ ვასილის ძეთ და ოლღა საჩინოს ასულმა გაბაშვილებმა 2250 მ. მიჰყიდეს პელაგია სოლომონის ასულს აზმაიპარაშვილს მიწის ნაჭერი ზომით 50 ოთხკ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ქალაქ. № 1460, 1461, 1462, 1463 და 1464.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 90 მ.

მთავარი ამონაწერი 11 მ. 50 კ., ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

282 1—1

1918 წ. მაისის 18-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც პორუჩიკ დიმიტრი ალექსანდრეს ძემ და ცოლმა მისმა ნადეჟდა ვასილის ასულმა ფადეევებმა 11.000 მან. მიჰყიდეს მოქალაქ. ირაკლი, მალხაზ, ბაგრატ, გიორგი და შალვა ივანეს ძეთ ბადრიაშვილებს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 90 ოთხკ. ს., მდებარე აგარაკ საგაბაშვილო—თხინვალში, ეხლა კი ქ. ტფილისის 1 უბანში.

გადახდილია: სააქტო-3 მან., განც. 1მ. 50 კ. გადასაწ. 1მ. 20 კ., სიმტკიცის 440 მან.

მთავარი ამონაწერი 55 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია.

291 1—1

1918 წ. ივლისის 1-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. იოკიმ გედევანის ძე კუჩიაშვილმა 17,000 მ. მიჰყიდა მოქ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე ზარაფიანს მიწის ორი ნაჭერი, საერთო ზომით 62 კვ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისის მე-7 უბანში, არარატის ქ., ქალაქ № 265.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ. 1 მან. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 680 მ.

მთავარი ამონაწერი 85 მ. ღირებულების სალერბო ქაღდზე მიცემულია.

281 1—1

1918 წ. ივნისის 25-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქეთ ნიკოლოზ თედორეს ძე და მარიამ პეტრეს ასულმა ბეზხონოვებმა 5.000 მან. მიჰყიდა მოქ. მალაქია იოსების ძე გოცირიძეს მიწის ნაჭერი № 18, ზომით 84 კვ., ს., მდებარე ქ. ტფილისის მე-11 უბანში, ქალაქ. № $376^1/_{18}$.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ.—60 კაპ., სიმტკიცის—200 მ.

მთავარი ამონაწერი 25 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

281. 1—1

1918 წ. ივნისის 21-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ხარიტონა მიხეილის ასულმა ხურდენკომ 6000 მან. მიჰყიდა ალექსანდრე ვასილის ძე შემოგოვს მიწის ნაჭერი ზომით 78,29 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 12 უბანში, ქალაქ. № 214.

გადახდილია: სააქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის—240 მ.

მთავარი ამონაწერი 30 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

292 1—1

1918 წ. სექტემბრის 9-ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ვარჟინეც და ლავრენტი მარტინის ძეთ განჩეკებმა 3300 მან. მიჰყიდა დავით მოსეს ძე ჯანაშვილს უძრავი ქონება, რომელიც შეიცავს მიწის ნაჭრის ნახევარს, ზომით 105 კვ. საჟ., შენობებით, მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ქალაქ. № 2065.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწ-1 მ. 20 კ., სიმტკიცის 132 მან.

მთავარი ამონაწერი 16 მან. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

304 1—1

1918 წ. სექტემბრის 18-ს ტფილ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილია სოლომონის ძე და ეკატერინე ანდრიას ასულმა ჯანიაშვილებმა 2240 მ. მიჰყიდეს მიხეილ წყალობას ძე დორკულის მიწის ნაჭერი, ზომით 112 კვ. ს., მდებარე საგაბაშვილო თხინვალში ქ. ტფილისის 1 უბანი.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 40 კ. სიმტკიცის 89 მ. 60 კაპ.

მთავარი ამონაწერი 11 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

304 1—1

მიხეილ შალომას ძე მამისთვალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიდაც იყო პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა და ფულად 370 მან. პასპორტი და მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება. 1485 3—1

დაკარგულია მოწმობა № 17393, აღებული 1919 წ. აგვისტოს 25. ლიუბა ვლადიმერის ასულის მალიშევის მიერ. 1484 3—1

მოწმობა მიცემული სარეგისტრაციო კომისიიდან მატოციკლეტის „ხარლეი დავიტსონის“ მარკაზე ალექსანდრე ნესტორის ძე დიასამიძის სახელზე დაკარგულია, რაც გაუქმებულად ჩაითვლება. 1486 3—1

ყოფილი უფროსი უნტერ ოფიცერი პეტრე მიტროფანეს ძე დუდულადოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 60 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბარათი. პასპორტი და ბარათი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1432 3—3

ამბაკო აბიათარის ძე ობოლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მილიციიდან მიღებული მოწმობა № 588, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

1457. 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 82752, 100 მან. ღირებულებისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1459. 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 85418, 200 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

1451. 3—3

ისააკ ეფრემის ძე დიგვირელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, აღებული თფილისის სამხედრო უფროსის კანცელარიიდან. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1456 . 3—2

ალექსი ეფრემის ძე მახვილაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ატესტატი № 42, აღებული გორის მაზრის სამმართველოდან და მამულში შესასვლელი ფურცელი. პასპორტი და ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 1487 3—1

პორფირე იუსტინეს ძე გოცირიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1488 3—1

ზაქარია აკაკის ძე ფირუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1492 3—1

პოლიტეხნიკუმში ფულის შეტანის კვიტანცია № 227, მიცემული გიორგი ღლონტის სახელზე დაკარგულია, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1494 3—1

ქ. ტფილისის მე 3 სამომრიგებლო განყ. ბოქაული გეგეჭკორი აცხადებს, რომ 1919 წ. ოქტომბრის 13-ს დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კუკიის კოოპერატივის მოძრავ ქონებაზე, რომელიც აწერილია ოლღა არაქელოვას ვალის დასაკმაყოფილებლათ ტფ. ოლქ. სას. წევრის წარწერით შრომის კომისრის ოქმის პირზე. ქონება შეიცავს დგამს და შეფასებულია 2100 მან. 1455

1918 წ. ივნისის 28 ს ტფილ. ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ელისაბედ კონსტანტინეს ასულმა გრეჩინსკაიამ 7.000 მან. მიჰყიდა მარიამ ნიკოლოზის ასულს საფაროვას მიწის ნაჭერი, ზომით სამხრ. და ჩრდ.—9 საჟ. 8 ვერ., აღ. და დასავლ.—$6^1/_2$ ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში ვერაზედ ქალაქ. № 1977.

გადახდილია: სააქტო—3 მ.. განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწერი—60 კ., სიმტკიცის—280 მან.

მთავარი ამონაწერი 35 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

281 1—1

1919 წ. მაისის 24 ს ტფილისის ოლქის სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოლღა საჩინოს ასულმა, ილარიონ, ნინო, გიორგი, ნიკოლოზ ვასილის ძეთ გაბაშვილებმა და დარია ვასილის ასულმა ყიფშიძემ 6435 მან. მიჰყიდა იაგორ ესტატეს ძე გუნცაძეს მიწის ნაჭერი ზომით 234 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, ქალაქ. № 50.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 257 მ. 40 კ.

მთავარი ამონაწერი 32 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 292 1—1

ელისაბედ დილანიანცი აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე პასპორტით, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1470. 3—3

დაკარგულია საფულე ფულით და პასპორტი აღებული ქ. ბარფრუშში (სპარსეთში) ოჰანეზ მალიანცის მიერ. მპოვნელს სთხოვენ ფული დაიტოვოს, მხოლოდ საჭირო საბუთები და პასპორტი დაუბრუნოს პატრონს შემდეგი მისამართით: ვერა, ტოლკანის ქუჩა № 10.

1444 3—3

დაკარგულია 30 სექტემბერს ღამით ქუთაისიდან მომავალ მატარებელში № 2—3039 ბეგლარ გიორგის ძე სამხარაძეს მიერ შემდეგი ნივთები და საბუთები: საათი ოქროს ძეწკვით, კომბუსტოს ნასყიდობა ქ. გორში ყუბანეიშვილთან, რომელსაც მიღებული აქვს 9,000 მანეთი, ნიკრის ნასყიდობა იგივე ქალაქში ილიკოდან (გვარი არ იცის), რომელსაც მიღებული აქვს ათი ათასი (10000) მანეთი, ყვირილაში აღებული პასპორტი, უბის წიგნაკი და საფულე ორას მანეთით აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1468 3—2

ქუთაისის ქალაქის სახალხო მილიციის სამმართველო, თანახმად ირაკლი გიორგის ძე ჩოგოვაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ვალდებულების ბარათი 1280 მანეთისა 80 ვედრა ღვინის ბე ბათუმში გადატანისა იოსებ ნიკოს ძე ბაზაძის სახელზედ მიღებული 2 აგვისტოს, ერთი ნუსხის ფურცელი ნატანების სადგურში მიღებული ორი ბოჭკისა იმავე ბაზაძის სახელზეთ, პასპორტი მიღებული მოსკოვში მესამე მეზჩანების კომისარიატიდან ორი სავალდებულო ხელ-წერილი ბათუმში მოვაჭრის კოსტა გიორგაძის მიერ ხელ-მოწერილი ერთი 15000 მან. და მეორე 400 მანეთისა, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინოს მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ.

1857 3—3

თედორე გლახუას ძე ლეშკაშელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1474 3—2

არტემ ბალარის ძე ზარგარიანცი აცხადებს რომ მან დაკარგა მეტრიკული მოწმობა და პასპორტი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1445 3—3

მეტრიკული № 711, და პირადობის მოწმობა აღებული სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ვლადიმერ სამსონის ძე ანთაძეს მიერ დაკარგულია, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1476 3—2

ვასილი ფარნაოზის ძე სარქმელაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, აღებული ჩიბათის ერობიდან (ოზურგ. მაზრ.) რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს

1477 3—2

დაკარგულია პასპორტი, აღებული ახალსენაკში და ბაქოში წასასვლელი ნებართვა, აღებული ბაქოში ბიკენტი ალექსანდრეს ძე ჩახავას მიერ, პასპორტი და ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1475 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 631, აღებული მე III ვაჟთა გიმნაზიის კანცელარიიდან ოსიპ ალექსანდრეს ძე ბაგდასაროვის მიერ. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1449 3—3

ტიგრან გერასიმეს ძე ფრანგულიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია №№ 6404926 და 6404931, აღებული რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების დონის როსტოვის განყოფილებიდან, ერთი-ოქტომბრის 31, 1917 წ. და მეორე 2 ნოემბერს 1917 წ. მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს შემდეგი მისამართით: მე 5 ფერმა-ავლაბარის ქუჩა, № 41, საკუთარი სახლი. წინაღმდეგ შემთხვევაში საბუთ. გაუქმებულად ჩაითვლება.

1450 3—3

გარეგინ ხაჩატურის ძე მკრტიჩიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატები: აღებული სომხების სასულიერო სემინარიიდან და კომერციულ სასწავლებელთან დაარსებულ საბუღალტერო კურსებიდან. ატესტატები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1461 3—3

გიორგი მალაქიას ძე კახნიაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა განჯის სადგურზე საფულე, რომელშიდაც იყო 822 მან. 50 კაპ. ბაქოში გასასვლელი მოწმობა, აღებული ყვირილის ცხენოსან გვარდიის შტაბიდან და სამაზრო ერობიდან, მოწმობები გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1467 3—3

დაკარგულია პასპორტი, აღებული ელენე მიტროფანეს ასულის იზოტოვას მიერ, 9 აპრილს 1919 წ. № 265, ნალჩინის სასოფლო სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1471. 3—3

ატესტატი № 264, აღებული სათავად-აზნაურო გიმნაზიიდან. 1913 წ-ლს ვლადიმერ გიგოს ძე კაკაბაძეს მიერ დაკარგულია. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1472, 3—3

დავით დანიელის ძე იზრაილაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 262, აღებული 1910 სენაკის მაზრის სამომრიგებლოდან და შინაგან საქმეთა სამინ. აღებული სამზღვარ გარეთის პასპორტი. პასპორტები, გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1465 3—3

ნატალია კარაპეტის ასული კარიბოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი აღებული მეორე ქალთა გიმნაზიიდან. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1462 3—1

დაკარგულია პასპორტი, აღებული ტფილ. კოფილ პოლიცმეისტრის კანცელარიიდან 1909 წ. ომან სოლომონის ძე ჩუბინიძეს მიერ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

1463 3—2

დაკარგულია პასპორტი № 195, აღებული ოზურგეთის სამაზრო სამმართველოში გიორგი მიხეილის ძე აბულადიანის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

1466 3—2

დაკარგულია პასპორტი მარიამ კოტლაიჩის სახელზე და პირადობის მოწმობა იულიანა იაკობის ასულის ვიშნევსკის სახელზე და ორი სასურსათო ბარათი მიღებული ამიერკავკასიის კომიტეტიდან. მპოვნელთ სთხოვენ მიიტანოს საბუთები მიხეილის ქ., № 169, ბინა 4. 1479 3–1

ელისაბედ ანდრიას ასული მანგასაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული 1911 წ. დეკემბრის 14-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ. 1433—31

სიმონ სერგის ძე სარდაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობისა და სიღარიბის მოწმობები, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. 3—1

ფოსტა ტელეგრაფის სამმართველო მოუწოდებს იმ პირთ, რომლებთაც სურვილი აქვთ აიღონ თავის თავზე 3000 ბოძების დამზადება (ფიჭვის ან მუხის, სიგრძით 14 არშინი, სისქით წვერში 4—5 ვერშოკი) აცნობოს მას თავისი პირობები არა უგვიანეს 7 ოქტომბრისა, ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოში, რუსთაველის პროსპექტი № 43.

1931 1—1

აქციზის სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ საქმის მწარმოებელმა შალვა ქრისტესიას ძე კორინთელმა შემოიტანა მოხსენება მასზედ, რომ მას დაუკარგავს პასპორტის წიგნაკი, მიცემული სამმართველოდან ამა წლის 22 აგვისტოს 6066 № ით ამიტომ ხსენებული პასპორტის წიგნაკი ამიერიდან გაბათილებულად ითვლება. 3–1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე